ხელშეკრულება № 17-მ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ს.კაჭრეთი

17 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"-ს(შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მალხაზ ასლამაზაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „თინელექტრო"-ს დირექტორის თინათინ კრიხელის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „ტექნიკური დახმარების გაწევა ახალი პროფესიის „სატყეო საქმის დანერგვის მიზნით" სახსრებით საზომი ხელსაწყოების (CPV კოდი:3830000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: სიმაღლისმზომის (CPV კოდი:3833000) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1050. 00 (ერთი ათას ას ორმოცდა ათი ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.დ.გ. და სხვა) გარეშე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4.3 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ტექნიკური დოკუმენტაციის და ხარისხის სერტიფიკატის/ ხელნაწერის ზედნადების წარმოდგენას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები :

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

ბ) მოითხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გახვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გახვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გახვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გახვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ ეტაპზე აღნიშნული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების ხრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მოლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალური რესურსების მენეჯერი კობა მთავრიშვილი.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"
გურჯაანის რ-ნი, სოფელი კაჭრეთი.
ანგ. №GE24NB0330100200165022
ს/კ: 227770800
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელეფონი: +995 (790) 717 218
E-mail: kachreti@gmail.com

დირექტორი: /მ.ასლამაზაშვილი/

მიმწოდებელი:

"შპს „თინელექტრო"
GE47TB7265636020100004
ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კოდი:405158555
მომს.ბანკ: სს თიბისი ბანკის ც.ფილიალი
მისამართი:თბილისი,ელიავას ბაზრობა
აგრალური უბანი, მაღ.52
ტ:558 777 880
E-mailtinatinkrikheli@gmail.com

დირექტორი: /თ. კრიხელი/

მიღება-ჩაბარების

აქტი №17- მ

ს.კაჭრეთი

---------- 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი" (შემდგომში შემსყიდველი ს/კ 227770800) მისი წარმომადგენელი ლოჯისტიკის სპეციალისტის ბესიკ ზირაქაშვილის სახით და მეორეს მხრივშს „თინელექტრო -ს დირექტორის თინათინ კრიხელის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი)(ს/კოდი405158555), წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის 2017 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 17-მ ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა მიაწოდა შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს შემდეგი დასახელების საქონელი:

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	ჯამი	COV კოდი:
1	სიმაღლემზომი 40	ცალი	3	350.00.00	1050.00	3833000
	სულ:				1050.00	

საერთო ღირებულებით შეადგენს 1050.00.(ერთი ათას ას ორმოცდა ათი) ლარი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ვადები დაცულია

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"-ს

წარმომადგენელი

ლოჯისტიკის სპეციალისტი: /ბ.ზირაქაშვილი/

მიმწოდებელი.

შპს „თინელექტრო"-ს დირექტორი:

ი/მ: /თ.კრიხელი/